

დია ჩიანელის მცირე პროზის მხატვრული თავისებურება

XX საუკუნის თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვან ქართულ მწერლობაში მცირე პროზამ განსაკუთრებული სიცხოველე შეიძინა. მას ზურგს უმაგრებდა როგორც ეროვნული მწერლობის ტრადიცია და გამოცდილება, ასევე საზღვარგარეთის ლიტერატურაში მიმდინარე ძვრები და ძიებები.

ამავდროულად აღსანიშნავია ქართული მცირე პროზის ფოლკლორული წარმომავლობაც. როგორც ცნობილია, ლიტერატურულ ნოველას საფუძვლად დაედო ხალხური ნოველა, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა ლიტერატურული ნოველის აღმოცენებასა და მწერლობაში დამკვიდრებას.

XX საუკუნის მცირე პროზის ლიტერატურულ ფორმებს შორის პრიორიტეტული ნოველა და მინიატურა გახდა, თუმცა ეტიუდის, ესკიზის, ნამცეცისა თუ ჩანახატის მეტად საინტერესო ნიმუშებიც შეიქმნა.

„ჩვენში ახლა ძალიან გავრცელდა მინიატურა. ეს ფორმა ყველაზე უფრო შეიყვარა აწინდელმა ქართულმა ბელეტრისტიკამ... ჩვენ მწერლობაში მინიატურის ფორმა გვიან შემოვიდა და მალევე გაბატონდა. ყველგან მინიატურებსა სწერენ ახლა საქართველოში, მაგრამ ეს მწერლები ეკუთვნიან სხვადასხვა ლიტერატურულ ჯგუფს თავისი მსოფლმხედველობით, მანერით, ტემპერამენტით. მინიატურის ფორმაში შეიძლება ამღერება მრავალნაირად და ჩვენი მინიატურისტების მანერაც ნაირია, – წერდა სანდრო ცირეკიძე 1919 წელს „მეოცნებე ნიამორებში“ გამოქვეყნებულ წერილში „მინიატურა“.

დია ჩიანელი ერთ-ერთი გახლდათ მათ შორის, ვინც მინიატურის ნაირგვაროვნებაში თავისი წვლილი შეიტანა. დია ჩიანელმა პირველი ლიტერატურული ნაწარმოები 1890 წელს გამოაქვეყნა. მას შემდეგ ის თავისი შემოქმედების ნიმუშებს ხშირად აქვეყნებდა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე. მწერლის სიცოცხლეში მისი ნაწერების კრებულებიც დაიბეჭდა. დია ჩიანელის მცირე ფორმის ეპიკური ნაწარმოებები, რომლებიც მცირე პროზისთვის დამახასიათებელ მეტად საინტერესო სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს ატარებს, მრავალმხრივ იწვევს მკითხველის ინტერესს, უპირველესად საყურადღებოა მათი თემატური მრავალფეროვნება და შთამბეჭდავი დასათაურება.

ზოგადად XX საუკუნის ქართულმა მცირე პროზამ ორიგინალური დასათაურებით მალევე მიიპყრო მკითხველის ყურადღება.

როგორც ცნობილია, ნაწარმოების დასათაურების სხვადასხვა სახეს ვხვდებით. არსებობს სათაურები, რომლებიც პირდაპირ მიგვანიშნებს ნაწარმოების თემატურ მხარეზე, არსებობს სათაურები, რომლებსაც გადატანითი მნიშვნელობა აქვთ და არსებობს ისეთი ტიპის სათაურებიც, რომლებიც პერსონაჟის ნათქვამი ფრაზითაა წარმოქმნილი, თავდაპირველად მკითხველისთვის გაურკვეველია, მაგრამ შემდეგ უკვე ნათელს ხდის ნაწარმოების დედააზრსა და მწერლის მიზანდასახულობას.

დია ჩიანელის მინიატურები ძირითადად დასათაურებულია სათაურებით, რომლებიც ნაწარმოების თემატურ მხარეზე მიანიშნებს ან სათაურებით, რომლებიც პერსონაჟის მიერ წარმოთქმული ფრაზით არის მიღებული, ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მინიატურები „რათ აღსდევგი ნაზარეველო, რათ?!...“, „შენ მე შემეყვარებ“, „კასპიის ზღვის ტალღებმა იცის“.

„რათ აღსდევგი ნაზარეველო, რათ?!...“ სათაურიდანვე განაწყობს მკითხველს საპროტესტო ხმის მოსასმენად. მინიატურისთვის დამახასიათებელი ლაკონური და აზრობრივად უაღრესად დატვირთული დასაწყისი: „შეჩერდა, იხედება, უნდა მოსულიყო... არსად სჩანს...“ უმაღლესი შეიყოლიებს მკითხველს თხრობაში, სადაც მკაცრი დიალოგური სტრუქტურა იშლება და მინიატურის იდეურ საზრისს ნათელი ეჭვინება.

„გიხაროდეს... ეუბნება ნაზარეველი... გიხაროდეს რამეთუ მე აღვსდევგი.

-არა. - ეუბნება მონა... ქვითინებს...

-რათ სტირი?- ეკითხება ნაზარეველი.

-ვგრძნობ, შენი აღდგომით მონობა არ მოისპობა... გუშინ თუ შენს საწამებლად ჯვარს მაკეთებინებდნენ... ხვალ შენს სადიდებლად იმავე ჯვარის სახელით უღელში შემებამენ და მოთმინებას მომთხოვენ... გუშინ თუ ჯვარს შენს საწამებლად მაკეთებინებდნენ - ხვალ ჯვარს ჩემს საწამებლად მევე გამომაჭრევენ... არა, რათ აღსდევგი, რათ? კიდევ იმახის მონა...

ფიქრობს ნაზარეველი... შუბლი ნაოჭებად ექცა... ბოლოს მონასთან მიდის... შუბლზე კოცნის და ეუბნება...

-მართალი ხარ... რათ აღვსდევგი... განა კაცობრიობას ჩემი აღდგომა გადაჰქმნის?! ცრემლი ჩამოსდის.. ქრება...ხეს მიყდნობილი მონა ლულულუღებს:

„რათ აღსდევგი ნაზარეველო, რათ?!...“ [2: 4].

თუ გავითვალისწინებთ მცირე პროზისთვის დამახასიათებელ მკაცრ კანონიკას, რაც გულისხმობს „ყოველი ფრაზის, ყოველი ნიუანსის გულდასმით დახვეწის აუცილებლობას: რომანთან და მოთხრობასთან შედარებით, სადაც ფორმის სიდიადე იოლად ჩქმალავს არამცთუ ზოგიერთი ფრაზის, თვით ცალკეულ პასაჟთა ხელოვნურობასა და რამდენადმე დაუხვეწაობას, მინიატურის სიმცირის გამო, მასში გაპარული ერთიბეწო „ხორკლი“-სტილური თუ აზრობრივი-უკვე თვალშისაცემია“ [5: 10], დია ჩიანელის მინიატურთა თხრობის სტილი, ჟანრული სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით, საოცრად შთამბეჭდავია.

დია ჩიანელის თემატურად მრავალფეროვან მინიატურთა ერთ-ერთი მახასიათებელი, მიუხედავად ლაკონური თხრობისა და დინამიურობისა, უშუალობაა, რაც ხშირ შემთხვევაში მცირე პროზისთვის დამახასიათებელი მონოლოგითაა მიღწეული, თუმცა ვხვდებით საინტერესოდ მოხმობილ დიალოგურ სტრუქტურას, რაც მინიატურათა აზრობრივ ქვეტესტს ხსნის.

მინიატურაში „მშობლიურ ცის ქვეშ“ ერთი შეხედვით უბრალო ამბისგანაა შექმნილი მეტად საინტერესო სიუჟეტი. იის მონოლოგი იმდენად უშუალოს ხდის თხრობას, რომ მკითხველს თითქოს აიძულებს კიდევ თანამონაწილეობას.

ადამთა მოდგმის დაუნდობლობით სევდამორეულ იას უკვე აღარ ახარებს მწველი ეშხით მომღიმარე კოლხეთის მნათობის ხილვა და ჯიუტად გაუშლელიობას ჰპირდება გარშემომყოფთ.

„ეგოდენია ჩემი სევდა, რომ ამ გაზაფხულზე ჩემი სინაზის ზღაპარს კვლავ ველარავინ მოისმენს. ბუჩქიდან კარგად ვიხედებოდი, როცა თოვლით დაფენილი კორდები, მინდვრები ადამიანთა სისხლით იღებებოდა. ვუცქერდი ამას და მთლად დავდნი...”

აი, ახლა იქ საფლავები მოსჩანს... ჩემს ახლოსაც რამდენიმეს გაუთხარეს საუკუნო ბინა... რამდენი კვნესა მესმოდა, რამდენი ვაი დედა. ამან მეც დამიცრიცა ნორჩი კუკური_გული დამიდნო... ვერა, ველარ გავიშლები ამ გაზაფხულზე...“[3: 4].

მიუხედავად კაცთა მოდგმაზე გულაყრილობისა, იაში თანალმობის უზადო სურვილმა თავისი გაიტანა და დამცრალი, უსიცოცხლო, ცრემლნაკურები კუკურები გაიშალა. გაშლილმა იამ სიყვარულის ზღაპრის თხრობა აღუთქვა ობოლო საფლავის ჭირისუფალს და „იღიმოდა... იღიმოდა, რომ ობოლ საფლავთა მეგობარი იგი იქნება!! და საფლავში ჩაჭედო ვაჟებს მარტო იგი მოუთხრობს თუ ქვეყნად რა ხდება!!“[4: 5].

დია ჩიანელის ლიტერატურული მემკვიდრეობა ლირიკული მინიატურების საინტერესო ნიმუშებითაც გამოირჩევა.

პროზის პოეზიასთან დაახლოების ტენდენციამ, როგორც ცნობილია, მკვეთრად იჩინა მეოცე საუკუნის ქართულ მცირე პროზაში. როგორც მკვლევარი ამირან გომართელი მიუთითებს, „სანავარდომდე“ და „გველის პერენგამდე“ პროზის პოეზიასთან დაახლოების ტენდენცია ძირითადი გეზი შეიქმნა ჩვენი მწერლობისა. პოეტური მინიატურა ერთგვარ ლიტერატურულ მოდად იქცა“ [1:35]. ამ ლიტერატურულ მოდას იყვნენ აყოლილები ჭოლა ლომთათიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, ტიცვიან ტაბიძე, სერგო კლდიაშვილი, სანდრო ცირეკიძე, დია ჩიანელი, რომელთა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ მინიატურებში ეპიკურ ქარგას იმდენად ფარავს პოეზიისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომ გრაფიკული წყობა ფაქტობრივად იჩრდილება და ეს ნაწარმოებები ამა თუ იმ ვერსიფიკაციული საზომით შესრულებული ლექსის სახით იკითხება.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა დია ჩიანელის „ცრემლები სულისა“. მინიატურა ყურადღებას იპყრობს ლირიკული გმირის სუბიექტური განცდების შთამბეჭდაობით, რაც ლექსისთვის დამახასიათებელი პოეტური წყობითა და მძაფრი ექსპრესიითაა მიღწეული. მინიატურის პოეტურობას ლირიკული გმირის სულიერი განცდების გადმოცემასთან ერთად განაპირობებს უსიუჟეტო თხრობა, რიტმულობა, დინამიკა და მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი პოეზიისთვის ნიშანდობლივი რეფრენი.

„ვის უკითხავს, თუ რად ჩქრიალებს თავისუფლად გიჟი ჩანჩქერი, ან რად ნავარდობს კიდით-კიდემდე ლალი გრიგალი?!

ვის უკითხავს?!

ან, ვის რა უნდა, რათ ბუტბუტებს გიჟი ჩანჩქერი; რათ ბუტბუტებს ლაღად და ანცად?!

ან ვის რა უნდა, თავისუფლად რად დანავარდობს გიჟი გრიგალი?!

ან ვის რა უნდა, ან ვინ კითხულობს!!

მაშ ვის რა უნდა მეც თავისუფლად ვინავარდო?!

მე ხომ ადამიანი ვარ!!

ვის რა უნდა, ჩემი გულის სიღრმიდან, ხან სიხარულის, ხან სიმწუხარის ხმები ამოსკდეს!

რათ კითხულობთ, თუ რათა ვსტირი, ან რათ ვმღერი?!

ვის რა უნდა ამ გულმა, რომელიც ოდენ სიყვარულს ინახავს, სიმძულვარეც ატაროს!!

მე ხომ მინდა ლალი ვიყო, ვით თვით ჩანჩქერი, მე ხომ ლალი ვიყო, ვით ქარიშხალი?!

მე ხომ მინდა თავისუფალი ვიყო, ვით თვით ცხოვრება?!
მაშ, ვის რა უნდა, რომ ის გული, რომელიც ერთგულების სალაროა, მაცდურიც იყოს!!
ვის რა უნდა!!
ვინ რათ კითხულობს?!
მე სიყვარულიც ვარ და სიძულვილიც.
მე ყველაფერი ვარ, რადგან სახელი ჩემი სტიქიონია!!
ჰო, და ვის რა უნდა, ან რათ კითხულობს, თუ რათა ლაღობს ჩემი ბუნება“[4: 3].

დია ჩიანელის მცირე ეპიკური ფორმის ნაწარმოებები განწყობილებაზე აგებული მკრთალი, შეუმჩნეველი ეპიკური ქარგით, მძაფრი ექსპრესიით, რიტმულობით, რიგ შემთხვევაში ლირიზმითა და რეფრენით, დიალოგური სტრუქტურითა და მონოლოგით, მეტად საინტერესო მხატვრული სახეებითა და თხრობის ორიგინალური სტილით, მწერალს მხატვრული ინდივიდუალობის მქონე მინიატურისტად წარმოგვიდგენს, რომელმაც XX საუკუნის ქართული მინიატურული პროზის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ლიტერატურა:

- 1.გომართელი ა.(1997): ქართული სიმბოლისტური პროზა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი;
- 2.ჩიანელი დ.(1916): „რათ აღზდეგი ნაზარეველო, რათ?!...“, თეატრი და ცხოვრება, N6, 4-6;
- 3.ჩიანელი დ.(1916). „მშობლიურ ცის ქვეშ“, თეატრი და ცხოვრება, N29, 8;
4. ჩიანელი დ.(1916). „ცრემლი სულისა“, თეატრი და ცხოვრება, N3, 3;
- 5.ჩხეიძე რ.(1992): ქართული მინიატურული პროზა. ლომისი. თბილისი;
- 6.ცირეკიძე ს.(1919): მინიატურა, მეოცნებე ნამორები.N1. 13-14;

Nino Kochloshvili

Telavi State University

The artistic peculiarity of Dia Chianeli's short prose

Abstract

Dia Chianeli was one of those who contributed to the variety of miniatures.

Dia Chianeli published his first literary work in 1890. Since then, he often published samples of his work in the pages of the Georgian periodical press. Collections of his writings were also published during the writer's lifetime. Dia Chianeli's literary legacy is distinguished by interesting examples of lyrical miniatures. From this point of view, the miniature "Tears of the Soul" is interesting. The work attracts attention with the impression of the subjective feelings of the lyrical hero, which is achieved by the poetic composition and intense expression characteristic of the white poem. The poetic nature of the miniature along with the conveyance of the spiritual feelings of the lyrical hero is determined by the plotless narration, rhythm, dynamics and the refrain characteristic of poetry voiced with high artistic skill.

One of the characteristics of Dia Chianeli's thematically diverse miniatures, despite the laconic narrative and dynamism, is immediacy, which is achieved in most cases with a monologue

characteristic of small prose, although we find an interestingly flexible dialogic structure, which explains the meaningful sub-text of the miniatures.